ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 22/2

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „14“ „მარტი“ 2014 წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომ– „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორცელების წესის შესახებ“ დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ. მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედ მიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია

ერთის მხრივ: *თიანეთის მუნიციპალიტეტი*

წარმომადგენელი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯომარის გივი წიკლაურის სახით.

(შემსყიდველის დასახელება)

(შემდგომში „შემსყიდველი“)

მეორეს მხრივ: მშენებლობის შემფასებელთა კავშირის

(მიმწოდებლის დასახელება)

(შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.

წარმომადგენელი: **პრეზიდენტის მარინა ხოფერიას სახით**

3.ხელშეკრულების საგანი:

3.1 ხელშეკულების საგანს წარმოადგენს მშენებლობის შემფასებელთა კავშირის სამშენებლო რესურსების ფასთა კრებულების 2014 წლის (I ,II, III, IV კვარტლების თითო ეგზემპლარის) შესყიდვა (გამარტივებული შესყიდვის საშუალებით)

3.2 კლასიფიკატორის კოდი CPV 22110000

4.ხელშეკრულების ღირებულება:

4.1. მისაწოდებელი საქონელის საერთო ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს.

4.2 საქონელი მიწოდებული იქნება შემდეგ მისამართზე: **თბილისი ზ.ჭავჭავაძის ქ.#5**

5.მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია: ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში (გამოცემისთანავე 2014 წელში ყოველ კვარტალურად უზრუნველყოს სამშენებლო რესურსების ფასთა კრებულების შემსყიდველისათვის მიწოდება). იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის, გაწეული მომსახურების, ვარგისიანობასა და დროულობაზე.

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას **შესყიდული საქონლის** (გაწეული მომსახურეობის) ღირებულება.

5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის ნიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5.5 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველს მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი:

6.1 **საქონელი** მიწოდებულად (მომსახურება გაწეულად, სამუშაო შესრულებულად) ჩაითვლება, საბოლოოდ შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი:

7.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მიერ ამ მიზნით გამოყოფილი უფლებამოსილი პირი.

8. მიწოდებული საქონლის (გასაწევი მომსახურების, შესრულეული სამუშაოს) ხარისხი და გარანტია:

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი (გაწეული მომსახურება, შესრულებული სამუშაო) არ გამოაავლენს ხარვეზებს === **თვის** (წლის) განმავლობაში. აღნიშნულ პერიოდში გამოვლენილი ნაკლოვანებებს გამოასწორებს საკუთარი სახსრებით.

9. ანგარიშსწორება:

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2 ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი (კრებულის თითოელი ეგზემპლარის) „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან **10** საბანკო დღის განმავლობაში:

9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ფასები:

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4-ე პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი საქონლის, გასაწევი მომსახურების, ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის (გასაწევი მომსახურების განსაზღვრული ფასის) გაზრდის ან შემცირების. ინფლაციის მაღალი დონის, საგალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების. საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის

10.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების ===== %-ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა:

11.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებლის რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12.უფლებების გადაცემა:

12.1 მიმწოდებელს არ აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოვალეობანი.

13. ქვე-კონტრაქტორები:

13.1. იმ შემთხვევაში, თუ ქვე-კონტრაქტის დადების ან ქვე-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემო აღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა ქვე-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი ქვე-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ფორს-მაჟორი:

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის:

15.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 18.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0,01 %**-ის ოდენობით.

15.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

15.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა:

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალსწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

17. დავების გაწყვეტის წესი:

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირ არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. სხვა პირობები:

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2014 წლის 31 დეკემბრამდე.**

18.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე **3** ეგზემპლიარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
დასახელება: **თიანეთის მუნიციპალიტეტი**	დასახელება: **მშენებლობის შემფასებელთა კავშირი**
მისამართი: **დ. თიანეთი რუსთაველის ქუჩა №67**	მისამართი: **თბილისი** ზ.ჭავჭავაძის-5
ტელეფონი: **0 (348) 29-16-86**	ტელეფონი: 2959588
მომსახურე ბანკი: ს.ს **ლიბერთი ბანკის თიანეთის ფილიალი LBRTGF22**	მომსახურე ბანკი: ბ/კოდი BAGAGE22 **ს/ს "საქართველოს ბანკი"-ს ც/ფ**
საბანკო ანგარიში: **GE77LB0120195824312002**	ს/ა: **GE46BG0000000348355500GEL**
საიდენტიფიკაციო კოდი: **232388378**	ს/კოდი: 205004243
ხელმოწერა	ხელმოწერა